F 797 ✓ 7204

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲠᲛᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

ხუთშაბათი, 9 სექტემბერი. ᲤᲐᲡᲘ 15 Მ.

გაზეთი ღირს თვიურად	300 მან.
განცხადების ფასი:	
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . .	20 მან.
4 „ „ „	15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება საკონსულოს ყოფილ ბინაზე, დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 1 ᲔᲠᲗᲯᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ. № 1

19206

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 9 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

მშრომელი საქართველოს ინტერესების დაცვა არის ჩვენი გაზეთის მიზანი და მრწამსი,

დემოკრატიული რესპუბლიკა და რევოლიუციით შენაძენი სახალხო თავისუფლება მშრომელ მასის ბეჭედით ვზიდეთ ჩვენ აქამდე.

ამიერიდან დემოკრატიული ქვეყანა ხალხის შვილთა ხელშია.

საქართველო მილიონ სახელმწიფოთა შორის გამონაკლისი კუნჭულია სამყაროს სივრცეზე, სადაც ასე რიგად იხარა დემოკრატიულმა ხეხილმა.

სოფლის და ქალაქის მუშამ მძაფრ ქარიშხალში ღვარა სისხლი, და გამოსჭედა საკუთარი ბედი.

იმ დროს, როცა ვვებერთელა რუსეთი სამოქალაქო ქარცეცხლის უფსკრულში ინთქება, მირიან ფესვიანად შერყეულია მსოფლიოს ზედაპირი, საქართველოს დემოკრატია სასწაულ მომქმედათ წარმოდგა., მან საამაყოდ და სასახელოდ მოაწყო ყოფა თვისი და დაიცვა ერი სხვა და სხვა სნეულ ექსპერიმენტთაგან.

საქართველოს დემოკრატიას ერგუნა სახელმწიფოს მშენებლობა. რაც კლასიური როლი იყო წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიისა....

ეს როლი ჩვენმა დემოკრატიამ სანაქებოდ და მოხდენილათ შეასრულა, დემოკრატიულ საფუძვლების აბსოლიუტურ დაცვით.

მძიმე შრომის და ტრადიციულ თავდადებულ მუშაობით ჩვენი ქვეყანა მძლავრათ ივლის მეტ გადაახლებისაკენ ყოველმხრივ, აყვავებისაკენ და კულტურულ ეკონომიურ სიმაგრისკენ.

საქართველო სამშვიდობოზეა დღეს იმის მეოხებით, რომ საქართველოს საქე მშრომელ მასის ხელშია.

ჩვენი სწრაფვაა კეთილდღეობა სრულიად მშრომელ საქართველოისა, საქართველო სხვანაირი ჩვენ არ წარმოგვიდგენია, და ვაი იმას ვინც დემოკრატიულ საქართველოს მტრად გაუხდება!..

ძველი ქვეყანა და საზოგადოება დაიჭრა სასიკვდილოდ, იგი უკვე მიიცვალა ჩვენში. და ახალ ქვეყანას ჰქმნის მტკიცე ნების ყოფის თვითცნობიერი დემოკრატია.

ძნელია ამ ქმედითი გზაზე სვლა, ძველი ქვეყნის მოციქულები კაპიტალისტური ტირანები გზა და გზა მახეს გვიგებენ, ეკონომიურს საღჩობელას გვიმართავენ, მაგრამ ფხიზელი დემოკრატია ყოველივე ამას სძლევს

ჩვენი ნატვრაა კავკასიის ხალხთა აბსოლიუტური სოლიდარობა...

კავკასიაში უნდა აშენდეს ოჯახი გულ წრფელ თანამშრომლობისა და საერთო განსაცდელის წინაშე ერთობითი ძალად ჩამოსხმისა. ქართველი დემოკრატია ყოველთვის ამ გზისკენ მოუწოდებდა კავკასიის მცირე ერებს და დღესაც გაუწევს ხელმძღვანელობას ამ დიად მიზნის გასანაღდებლად.

მშრომელი საქართველო გულ წრფელად სწუხს რუსეთის ხალხის გაუთავებელ წამებას, მაგრამ მშრომელი საქართველო შეგნებულად ჰგმობს მოსკოვ-ყირიმის უკიდურესობათ, რომელთაც საბრალო რუსეთი სტიქიურ ბობოქრობის შემდგომ რეაქციის აღსავლის კარებამდე უნდა მიიყვანონ.

ბათუმი ლამპრიანი გზა იყო ქართველ დემოკრატიის თვალთ-ახელვის, ბრძოლისთვის დავალებების

ბათუმი აზია და ევროპის შემაერთებელი ხიდია რომელზედაც შემოჰბერს სიო კულტურულ დასავლეთისა.

ბათუმი საქართველოს ბედნიერების ნავთსადგურია, დასავლეთის დემოკრატიისკენ ჩვენი გემის მიმმართველი!..

აქ ჩვენ გაზეთს დიდი მოვალეობა დაეკისრება. იგი იქნება ქართველ და ევროპის დემოკრატიის ხმათა შემაერთებელი. მშრომელ დემოკრატიის მხურვალე თანაგრძნობით, სოფლის და ქალაქის მუშის დახმარებით ვიმუშაოთ ამ საპატიო გზაზე.

გამარჯობა მკითხველო!..

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ.

ამ მოკლე ხანში საქართველოში მოელიან სოციალისტურ დელეგაციას. ამ დელეგაციის წევრებათ საერთაშორისო დემოკრატის გამოჩენილი წინამძღოლები და თეორეტიკოსები არიან.

ამ გარდამავალ ხანაში, როცა საერთაშორისო ნგრევისა და გარდატეხის დროს უკვე არის იმის ნიშნები. თუ ვინ უნდა გახდეს ხვალ საზოგადოებრივი ცხოვრების მესაჭე და ტონის მიმცემი, მუშათა და სოციალისტურ პარტიების დელეგაციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ის მტკიცე ურთიერთობა და კავშირი, რომელიც დელეგაციების საშვალებით მყარდება სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა რაზმებს შორის, საუკეთესო საშვალება არის საერთაშორისო დემოკრატიისათვის საერთო ენის გამოსანახავათ და მავნე ექსპერიმენტების თავიდან ასაცილებლად.

მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ასეთ დელეგაციას საქართველოს მშრომელი მასისათვის, რომელიც 2 წლის განმავლობაში მიუხედავათ ათასგვარ მტრების, როგორც მარცხნივ ისე მარჯვნივ, გველურ სისინისა, შეურყეველად ადგა ევროპის მუშათა კლასის გამოცდილებითა და პრაქტიკით ნაკარნახევს და მეცნიერული სოციალიზმის ლამპარით განათებულ გზას.

საქართველოს მშრომელმა მასამ დედის ძუძუსთან ერთად შეითვისა საერთაშორისო დემოკრატიის ბრწყინვალე ლოზუნგები და ათეულ წლების განმავლობაში გმირულ ბრძოლას აწარმოებდა ამ ლოზუნგების რეალობათ გადასაქცევათ.

1917 წელს პოლიტიკურ განთავისუფლებასთან ერთად, ჩვენმა დემოკრატიამ თავის სამშობლოს ეროვნული თავისუფლებაც მოიპოვა.

თავის მძიმე მუშაობის დროს, სახელმწიფოებრივობის შექმნის პროცესში, ჩვენს დემოკრატიას არასდროს არ უღალატნია ჭეშმარიტ დემოკრატიის პრინციპებისათვის და განახორციელა ისეთი პოლიტიკური და სოციალური რეფორმები, რომელიც ჯერ არსად არ გატარებულა.

საქართველოს დემოკრატიის ორიენტაცია იყო და არის ორიენტაცია საერთაშორისო დემოკრატიაზე.

საქართველოს მშრომელი მასა მით უფრო მეტის სიხარულით და აღტაცებით მიეგებება ძვირფას სტუმრებს, რომ მათი ხილვა საქართველოს მიწა-წყალზე იყო და არის მისი სანატრელი საგანი.

ჩვენს დემოკრატიას არ სჭირია ახსნა და გაცნობა მათი, ვინც ამ მოკლე ხანში უნდა გვეწიოს ჩვენ.

საქართველოს მიყრუებულ კუნჭულებშიაც კი გაუგონიათ და იციან თუ ვინ არის კ. კაუცკი, ე. ვანდერველდე, კ. გუისმანსი და დელეგაციის სხვა წევრები.

დელეგაციაში შედიან აგრეთვე ტ. შოუ და მისს სნოუდენი, ინგლისის მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენლები, რომელიც შედიოდენ ინგლისის მუშათა კლასის მიერ საბჭოთა რუსეთში გაგზავნილ დელეგაციაში.

მათ შეუძლიათ შეადარონ ორი გზა, ორი შენება, რომელსაც დაადგა ორი რაზმი მუშათა კლასისა—საბჭოთა რუსეთის და პატარა დემოკრატიული საქართველოში.

საქართველოს დემოკრატია არ შეხვდება ევროპის მუშათა კლასის წარმომადგენლებს „კაზიონი“ აღლუმებით და თვალის ასახვევ ბუტაფორიით, როგორც საბჭოთა რუსეთში შეხვდენ, რომ მით თვალი აეხვიათ დელეგატებისათვის—და მათ არ დაენახა ბოლშევიზმის მეორე—მახინჯი სახე.

საქართველოში დელეგაციას სრული საშვალება ექნება ადგილობრივ გაიცნოს ყველაფერი, რაც საქართველოს დემოკრატიამ გააკეთა.

საქართველოს დემოკრატია მუდამ ევროპის მუშათა კლასის გზით მიდიოდა და დღეს მოხარულია თავის მუშაობის ნაყოფი ევროპის დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლებს ანახვოს.

სიხარულით ეგებება ჩვენი მშრომელი მასა თავის საყვარელ მაწავლებლების მოსვლას და ეუბნება მათ: კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა!

Ე. Ვ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ.

(მიღებულია 8 სექტემბერის)

ოპერატიული ცნობები

მოსკოვი, 7 სექტემბერი. გროდნოს რაიონში გრძელდება ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები.

ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში ჩვენ ავიღეთ კამენეც-ლიტოვსკი.

ვლადიმირ - ვოლინის რაიონში, გრუშებოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით გრძელდება მკაცრი ბრძოლები, ტყვეთ ჩავიგდეთ 200 კაცი.

ლვოვის რაიონში გრძელდება ბრძოლები, ჩვენ ჩავიგდეთ 150 ტყვე.

ყირიმის რაიონში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲕᲠᲐᲜᲒᲔᲚᲘ.

ამხ. კამენევმა ინგლისის პირველ მინისტრს მიმართა კითხვით: როგორ უცქერის ვრანგელს საფრანგეთის მიერ მისი ცნობის შემდეგ და არის თუ არა ინგლისი პასუხისმგებელი ვრანგელის თავდასხმაში და სთვლის თუ არა საჭიროთ მიიღოს ახალი ზომები ინგლისის და რუსეთის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის აღსადგენათ.

ვრანგელის ინტერესების დამცველათ გამოსვლით, ინგლისი ფაქტიურად ამსუბუქებს მის მდგომარეობას და ხელს უშლის საბჭოთა მთავრობას დაამთავროს თავისი ოპერაციები.

ამის პასუხათ ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას სურს შესწყიტოს მტრული მოქმედება და აღადგინოს მშვიდობიანობა აღმოსავლეთ რუსეთში (გამოტოვებულია) მაგრამ არასდროს არ უფიქრია წაართვას ყირიმი რუსეთს ან იცნოს ვრანგელის სამფლობელოთ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ლონდონი. აგვისტოს 24. „დეილი ნიუსი“ აღნიშნავს რომ ნაყოფიერ კონტრშეტევებმა შეიძლება პოლონელები გაიტაცოს, რაც თვით პოლონეთზე ცუდათ იმოქმედებსო. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს პოლონეთზე, შეიძლებს პოლონელების თავის დროზე შეჩერებას. მარშალი ფოში კატეგორიულად ამტკიცებს, რომ პოლონელების მიზანი წითელ არმიელთა პოლონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიდან განდევნაა და არა რუსეთის ტერიტორიის დაკავებაო.

ერთა ლიგაში.

პარიზი. აგვისტოს 23 ,,ფიგაროს'' ცნობით ერთა ლიგას მიენიჭა უფლება კონტროლი გაუწიოს ყველა იმ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალას, რომელიც ერთა ლიგაში შედის. ერთა ლიგამ უნდა გაუწიოს გეოგრაფიულ და სხვა პირობებში და ომის დასრულების შემდეგ ამისდა მიხედვით უნდა გამოიმუშაოს, თუ რომელ სახელმწიფოს რამდენი ჯარი უნდა ყავდეს.

ენზელის დაცლა.

სტამბოლი. აგვისტოს 25. სარწმუნო ცნობების მიხედვით ბალშევიკებს ენზელი დაუცლია. ბალშევიკური ძალები ვრანგელთან საბრძოლველად სამხრეთი ფრონტზე გაუგზავნიათ

საბერძნეთის მეფის გასამართლება.

ათინა. აგვისტოს 25. მთავრობამ გადასწყვიტა ყოფილი მეფე კონსტანტინე გასასამართლებლად სამხედრო საგანგებო სასამართლოს გადაეცეს. ბრალდებულის სკამზე იქნება მისი ყველა თანამოაზრეები, რომლებიც ახლა შვეიცარიაში სცხოვრობენ.

ათინაში მთავრობამ დაიჭირა ვენიზელოსის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობისათვის 47 კაცი. ყველა სამხედრო სასამართლოს გადაეცემა.

ინგლისის მუშები და ზავი საბჭოთა რუსეთთან.

ბრიტანეთის მუშათა ,,მოქმედების საბჭომ'' მოაწყო მრავალი მიტინგი რუსეთთან ზავის ჩამოგდების სასარგებლოდ. ამავე მიზნით საბჭომ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასთან მოლაპარაკება გამართა. მიის შესახებ „დეილი მელის" ცნობით ლოიდ-ჯორჯს განუცხადებია: ინგლისის მუშების ლია კარებში იჭრებიან, ვინაიდან მთავრობა ღებულობს ზომებს ზავის ჩამოსაგდებად. ყოველი ცდა, რომ მთავრობას უკარნახონ ესა თუ ის პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, არღვევს ინგლისის დემოკრატიულ კონსტიტუციას და ამის გამო მთავრობა ასეთ ცდას ყოველთვის შეებრძოლება. გაზეთის ცნობით, ლოიდ-ჯორჯს მოკავშირეების დამოკიდებულება რუსეთთან ასე დაუსურათებია: არც ინგლისის და არც საფრანგეთი არ ჩაერევა რუსთეთის შინაურ საქმეებში, თუ რუსეთი თავს შეიკავებს და არ ჩაერევა სხვა სახელმწიფოების საქმეებში. თუ პოლონეთ—რუსეთ შორის ზავი შეიკრა, როგორიც არ უნდა იყოს ზავის პირობები, მოკავშირეები მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში მაინც არ ჩაერევიანო.

ახალი ავადმყოფობა.

სტოკჰგოლმი. აგვისტოს 20. სკანდინავიის ნახევარ კუნძულის სახელმწიფოებში თავი იჩინა ახალმა სენმა, ,,ძილის ხვადმყოფობამ'' ამ სენით ავადმყოფთა 50 % კვდება. ამ ახალ მრავალი დაავადმყოფდა სტოჰკგოლმსა და გეხენბორგში.

ცეიდლერის წერილი.

პარიზი. აგვისტოს 22. ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილია ჰეტროგრადის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის პროფესორ ცეიდლერმს მოწოდება: მოვითხოვ მიექცეს ყურადღება იმ შემაძრწუნებელ მდგომარეობას, რომელშიც დღეს რუსეთი იმყოფება. არ შემიძლია გავჩუმდე, როდესაც ვუყურებ რუსეთის ტანჯვასა და მათხოვრობას და ნამეტურ კი პეტროგრადის მცხოვრებთა ბრძოლას სიმშილსა და სიცივესთან. თვეში ათი ათასობით სიკვდილი, მთლად ამოწყვეტის შიში ტიფისა და სხვა ავადმყოფობათა გავრცელების გამო, მომავალში აღარ უნდა შეიწყნაროს განათლებულმა კაცობრიობამ

წითელი ჯარი ლიტვის ტერიტორიაზე.

(დასაწყისი არ მიგვიღია) დასავლეთის ფრონტის ჯარებს ებრძანათ თავის დროზე დასცალონ ლიტვის ტერიტორია ამ ჟამად პოლონეთის ჯარი კვლავ იჭრება ლიტვის ტერიტორიაში და მის დამოუკიდებლობას საფრთხეს უმზადებს. წითელ არმიელები იძულებული გახდნენ ეპასუხათ მათთვის ლიტვის ტერიტორიაზე, ყოველი წითელ არმიელი დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ ბურჟუაზიული პოლონეთი, როგორც ჩვენთვის, ისე ლიტვის ხალხისათვის საერთო მტერს წარმოადგენს, პოლონელების განადგურებინ შემდეგ ჩვენი ჯარები დასტოვებენ ლიტვის ტერიტორიას, სადაც ჩვენი ჯარები შევიდნენ, როგორც განმანთავისუფლებელნი და გამოვლენ როგორც მეგობრები.

ვრანგელის ბანაკში მონარქიულ აგიტაციას ეწევიან „სარწმუნოების, მეფისა და სამშობლოს" ლოზუნგით, მეფის კარის კაცს სულ მეფის ტახტი ელანდება. ბარონმა დენიკინივით დემოკრატიული ფრაზეოლ'ით დაიწყო და ,,ღმერთი მეფესა ფარვიდესო'' გაათავა. ჰოტყუებული კაზახები მალე დაინახავენ, თუ სად მიყავს ისინი მეფის გენერალს.

ფასები

მარსელი. 4. ბრინჯი-80, მუხუდო 150, ქარტოფილის ფქვილი 150 ჰავრი 3: სექტემბრის ბამბა 536, ოქტომბრის 533, ნოემბრის 522 ლიონი 4. სევენის აბრეშუმი-270 იტალიის 269—270, სირიის არ არის იაპონიის 170—175, ჩინეთის 260, კანტონის 175

საფრანგეთი და ავსტრია

პოლ დეშანელმა პარასკევს ოფიციალურ აუდენციაში მიიღო ავსტრიის ელჩი, რომელმაც მას თავის რწმუნების ქაღალდი გადასცა.

რუსეთი და პოლონეთი

ვარშავა. პოლონეთის დელეგატებს მინსკი სექტემბერი 3 უნდა დაეტოვებიათ წოდება მათიგამომგზავრების წინ შეადგინეს სხდომის ოქმი, რომელშიც არის აღნიშნული რომ მოლაპარაკება მხოლოდ დროებით.

პოლონეთის მთავრობამ ჩიჩერინისაგან მიიღო რადიო-დეპეშა, რომლითაც იგი რიგაში მოლაპარაკების გადატანაზე თანხმობას აცხადებს.

ბეირუთიდან იუწყებიან: მუსულმანების დღესასწაულმა ბაირამმა, რომელშიაც საფრანგეთის მართველმა პირებმაც მიიღეს მონაწილეობა და საჩუქრები და ფქვილი დაარიგეს, საფრანგეთის სასარგებლოდ მანიფესტაციის ხასიათი მიიღო. ისლამური პრესა განსაკუთრებულ მადლობას გამოსთქვამს იმის გამო, რომ პარიზში მუსულმანური უნივერსიტეტი და მინარეთი ააგეს. ემირ ფესალის გამგზავრების შემდეგ ბეირუთში სრული სიწყნარეა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საჰაერო ესკადრილიამ დამასკის მახლობლად ბედუინთა რამდენიმე მტრულად განწყობილი რაზმი გაფანტა.

რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე.

ლიონი. (საბერძნ. რადიო) პოპოლონელები იუწყებიან ბოლშევიკების კონტრ-იერმშები მოვიგერიეთო ბელსკი პოლონელებმა აიღეს.

მეფე კონსტანტინე.

პარიზი 5 ეკ ათინიდან იუწყებიან საბერძნეთის მთავრობამ სთხოვა შვეიცარიის მთავრობას თავის ტერიტორიიდან გააძევოს მეფე კონსტანტინე.

ახალი ამბები

— ე. გეგეჭკორი იტალიაში, იტალიიდან გარეშე საქმეთა სამინისროში მიღებულია ცნობები, რომ აგვისტოს 30-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პ. გეგეჭკორი მიიღო იტალიის პრეზიდენტმა ჯიოლიტიმ და მინისტრმა სფორცამ. მიღება იყო გულითადი. ჯიოლიტ-ს და მინისტრ სფორცას მიერ გამოთქმული იყო ღრმა სიმპატია საქართველოსადმი და გეგეჭკორის მიერ აღძრულ საქართველოს საკითხების შესახებ მხარის დაჭერა.

— საგანგებო კომისარი მთავრობის თავმჯდომარესთან მთავრობის საგანგებო რწმუნებული და ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი აგვისტოს 7-ს ქ. ლანჩხუთში მოხსენებით იყო მთავრობის თავმჯდომარესთან.

— ბათუმში ჩამოვიდა მოსკოვის ქართულ მისიის ყოფილი ხელმძღვანელი გაგო ხუნდაძე და წაიკითხავს ლექციას საბჭოთა რუსეთის შესახებ.

— ქალაქის გამგეობაში. ახლად ქალაქის თავად არჩეული დამფუძნებელი კრების წევრი გიზო ანჯაფარიძე უკვე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. ქალაქის თავი იღებს მთხოვნელებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით შუადღის 12 საათ. ნაშუადღევის 1 საათამდე

— ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ონიფანტე რამიშვილი შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას

— ხუთშაბათს სალამოს ექვს საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია ბათომის პროფ. კავშირთა საბჭოს სასწრაფო სხდომა.

გასარჩევია კითხვები: 1) სიძვირის და მასთან ბრძოლის შესახებ მიმდინარე კითხვები.

— გამოცდები ბათომის ვაჟთა გიმნაზიაში უკვე დაიწყო.

— ბათომის ყოფ. ნოტარიუსის ზაქ. ხიტოროვ-ბესტნვაშვილის კანტორის დრ. გამგეობა დაეკისრა მომრიგებელ მოსამართლე ს. მ. კვირკელიას.

— რკინის გზის მთავარ სანიტარულ ინსპექციის დადგენილებით რკინის გზის მილიციის უფროსს ბ-ნ ვ. გოგუას წინადადება მიეცა ე. წ. დეზერტირთა ბაზრის დახურვის შესახებ.

— სასამართლოს ცხოვრება. ბათომის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ მოქმედება დაიწყო. ბათომის საოლქო სასამართლოს მოწყობის საორგანიზაციო მუშაობას სასწრაფოდ დასრულების მიზნით, ბათომს ჩამოვიდა სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი მ. კანდელაკი.

— ბათომის რადიო სადგური. რადიო ტელეგრაფის სამმართველომ ზომები მიიღო ბათომში ძლიერი, 10-კილოვატიანი სადგურის მოსაწყობად. ახალი რადიო სადგური საშვალებას მისცემს ბათომს დაუკავშირდეს კონსტანტინეპოლსა და ყირიმს. ამ შემთხვევაში ტფილისი ყველა რადიოს ბათომიდან მიიღებს.

— ბილეთი მოწაფეთათვის. რკინის გზის მოძრაობის უფროსის კანდელაკის ხელმოწერით გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად მცხოვრებ პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწაფეთ ეძლევათ რკინის გზის თვიური და სამთვიური შეღავათიანი ბილეთი, თვიური ბილეთი ეღირება იმდენი, რამდენიც საბავშვო, ხოლოდ 50 ჯერ გადიდებული 3 თვიანი კი 150 ჯერ გადიდებული.

— აქციზი ჩაიზე მთავრობამ მოიმსმინა მოხსენება შინა მრეწველობის დამზადებულ ჩაიზე აქციზის დაწესების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აქამდინ აქციზი უცხოეთში დამზადემულ ჩაიზე იყო—დაწესებული. ამ ჟამად, ბათომის ოლქის შემოერთების შემდეგ ბაზარზე ადგილობრივი წარმოების ჩაიც შემოდის. სააქციზო უწყება ადგილობრივ წარმოების ჩაიზე აქციზის დაწესების საჭიროებას აღნიშნავს. მოხსენების მოსმენის შემდეგ მთავრობამ სააქციზო უწყებას აღძრულ საკითხის განსახილველად საგანგებო თათბირის მოწვევა მიანდო. თათბირზეას ფინანსთა, მომარაგების და მიწად მოქმედების სამინისტროების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას

— საცხოვრებო მინიმუმი. ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებლის წინადადებით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დასაწესებლად საცხოვრებელი მინიმუმის გადიდების კანონპროექტის შემომუშავებას შეუდგა განზრახულია საცხოვრებ მინიმუმის 12 ათასიდან 24 ათასამდე გადიდება.

— რკინის გზის სადგურებზე არსებული შემოწირულებათა შესაკრები ყულაბები — უნდა გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ყულაბებში არსებული ფული მთავრობას უნდა ჩაბარდეს

— სახელმწიფო ბანკის განყოფილება ბათომში. ფინანსთა სამინისტრომ ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნის პროექტი შეიმუშავა. ეს პროექტი ცხოვრებაში უახლოეს დღეებში გატარდება.

— სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან. უახლეს დროში საბჭოთა რუსეთში რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ხელშეკრულებას დასადებად საგანგებო კომისია მიემგზავრება. ხელშეკრულება საქონლის გაცვლა გამოცვლის საფუძველზე იქნება დადგენილი.

— გერმანიის საქონელი. გერმანიიდან მთავრობის სახელზე სხვა და სხვა საქონელი მოვიდა. სახელდობრ ქაღალდი, ელექტრონი, დამთები რკინეულობა და სხვა.

—მუშათამაგიდა.თფ. მუშათა—მაგიდამ შრომის მინისტრსა და მომარაგების სამინისტროს გამანაწილებელ განყოფილებას აცნობა, რომ რესპუბლიკის მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის საჭირო არა ნაკლებ 150.000 ფუთი ხორბლის მომარაგება.

— უმაღლესი ეკონომიური საბჭო. ფინანსთა სამინისტრო უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მოქმედებს გეგმის დამუშავებას შეუდგა. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ უნდა გააერთიანოს ის უწყებანი, რომლებიც სახალხო მეურნეობის დარგში მუშაობენ.

— ს. ავალიანის გამგზავრება. ს. ავალიანი, მიწად მოქმედების მინისტრის მოვალეობას აღმასრულებელ მალანიასთან და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთან ერთად რკინის გზელთა სასურსათო ორგანიზაციის მდგომარეობის გასაცნობად მიემგზავრება. რკინის გზელებმა თავის ოპერაციების გასაფარა თოვებლად განსაზღვრული თანხ გამოითხოვეს.

+ ილია წინამძღვარიშვილი.

გარდაიცვალ ღრმა მოხუცებაში მყოფი დამსახურებული სმაგურნეო და საზოგადო მოღვაწე ილია წინამძღვარიშვილი. განსვენებულმა ჩაუყარა პირველად საძირკველი თფილისის გუბერნიაში სამეურნეო ცოდნის გავრცელებას. მისი სკოლის მოწაფენი რესპუბლიკას დღეს სხვა და სხვა თვალსაჩინო საქმეში ჰყავს. წინამძღვარიშვილი მესამოციან წლეების მოღვაწეთა ოჯახის ერთი წარმომადგენელთაგანი იყო. ახლო წარსულის საზოგადო მოღვაწეთა შორის მას ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა, ქართველი დემოკრატია აფასებს მას, როგორც ხალხში სამეურნეო ცოდნის შემტანს და გამავრცელებელს. ამ მხრით მისი სახელი წაუშლელი იქნება.

ციურიხის ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

ციურიხის „ახალი გაზეთი“ თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ბეჭდავს ვრცელს წერილს, სადაც სხვათა შორის, აღნიშნულია: „საქართველოს მთავრობა თავიდანვე შეეცადა კავკასიაში მშვიდობიანობა დაემყარებინა. საქართველოს მთავრობა ყოველ ღონისძიებას ჰხმარობს სოხეთსა და აზერბეიჯანს შორის სადაო საკითხები მშვიდობიანი გზით გადასწყვიტოს. საქართველო მართალია, როდესაც ჰფიქრობს, რომ ამიერ კავკასიის 3 რესპუბლიკის შორის მშვიდობიანობა შეჰქონის კავკასიაში მტკიცე მდგომარეობას და მაშინ ისინი უცხოეთის საფრთხისაგან უზრუნველყოფილი იქნებიან.

სწავლა განათლების საქმე

კომერციული განათლება. სავაჭრო კომიტეტმა კომერციულ სასწავლებლის წესდება მოიწონა. განზრახულია უმცროს კლასების თანდათანობით დახურვა და მათ ადგილზე უმაღლეს კომერციულ სპეციალურ კლასების დატოვება. განზრახულია აგრეთვე ნაწილობრივ სახელმწიფო ენაზე გადასვლა. მიმდინარე წელში გაიხსნება პარალელური კლასები მე 5 და 6 კლასებში. მაცადინობა ქართულ ენაზე იწარმოებს.

ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა.

სავალიუტო საქონელი. სავაჭრო სამრეწველო პალატამ, ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობით ძიმართა დართოს მას ნება იმ სავალიუტო საქონლის საზღვარ გარეთ გატანისა, რომელიც ერთ დროს თანახმად მომარაგების მინისტრის ნებართვისა გატანილი იყო ბათომში და რომელიც სხვა და სხვა მიზეზების გამო იქ დარჩა. სავაჭრო სამრეწველო პალატა აღნიშნავს, რომ ეს საქონელი უნდა იქნეს გატანილი საზღვარ გარეთ, ვინაიდან იგი საქართველოში უკვე შემოტანილ საქონელის ეკვივალენტს წარმოადგენს.

ბათომის სახალხო წარმოგადგენლების მმართველი წრე.

ჩვენი სახალხო გვარდიის საყვარელმა ბელადმა ვალიკო ჯუღელმა ბათომის სახალხო გვარდიას მიწიდგან ამოხეთქილი გვარდია უწოდა. ესევე უნდა დაერქვას ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს. ბათომისათვის დუხჭირ დროსაც ახერხებდა ეს წრე წარმოდგენების დადგმას. ბათომის ქართულ დრამატიულ წრის სახელით მან დადგა ორიოდე წარმოდგენა ინგლისელების დროსაც, მაგრამ როდესაც ბათომის ოლქი და კერძოთ ბათომი დაუბრუნდა დედა სამშობლოს, ისიც ამოეკვლო ახალ ემბაზში და ახალი სახელით ახალი ძალებით შეუდგა გაათკეცებული ენერგიით, მუშაობას, ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ და,ადგინა ორი გამოსაცდელი წარმოდგინა, რეჟისორ ბარველის რეჟისსორობით, და უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ გამოცდაში მან საკვსებით გაიმარჯვა. წარმოდგენები იყო მთლიანი, ხელოვნების ზედმიწევნით დაცვით და სხვა. აღსანიშნავია მხოლოთ ხალხის გულცივობა, მაგრამ ეს ეხლა აუცილებლათ უნდა გამოსწორდეს.

წრის გამგეობამ მოიწვია 6 პროფესიონალი მსახიობნი და ამით რასაკვირველია წრის შემადგენლობა უფრო გაუმჯობესდა რეპერტუარიც მდიდარი აქვთ. მდიდარია შინაარსით წრის მიერ დასახული პერსპექტივებიც, მაგრამ ღარიბია საშინლათ მათი კასსა, საზოგადოების უყურადღებობის გამო.

18 სექტემბერს იხსნება სეზონი რომელიც გასტანს აპრილის დამლევამდე, საჭიროა ჩვეულებრივი ქართულ გულგრილობით არ მოვეკიდოთ ამ საქმეს, და როგორც გვჩვევია ყოველი კეთილი დასაწყისის სათავეში ჩაკლა ისევე არ მოვექცეთ ამას, საჭიროა ბათომის ქართველმა შეძელებულმა ნაწილმა ეხლავე გაიღოს უხვი შეწირულება ამ საქმისათვის და დემოკრატია კი მოვალეა, რომ მის წიაღიდგან გამოსულ წრეს გაუწიოს, როგორც მატერიალური აგრეთვე მორალური დახმარება.

ვ—ლი.

„კომუნისტურ“ აზერბაიჯანში.

„საბოტაჟნიკები“.

ბაქოს „კომუნისტში“ მოთავსებულია შენიშვნა ვიღაც „მეთვალყურის“ სათაურით „საბოტაჟნიკების შერცხვენა“.

შენიშვნაში სხვათა შორის ნაათქვამია:

„აზერბაიჯანის [illegible] ბაქოს დეპოს მჭედლებთა [illegible] იკიდებს საბოტაჟი. ამ საბოტაჟს ამხ. მჭედლები იმით ხნიან რომ ისინი მშივრები არიან. ნუ დაგავიწყდებათ ამხ. მჭედლებო რომ მთელი საბჭოთა რუსეთი სამი წელიწადია დამშეულია და სირცხვილია სიმშილზე ლაპარაკი?

არა ერთხელ შეგვინიშნავს, რომ ამხ. მჭედლები მუშაობის დროს ისვენებენ, მუშაობის გათავების შემდეგ მიდიან სპეკულიანტების ბარგის გადასატანათ.

არც ერთ სუბბოტნიკზე ისინი არ მუშაობენ, რის გამოც ჩვენი ტრანსპორტი ძლიერ კოჭლობს.

გზა გზა ხელს არ შეგვიშლის გადავხედოთ მემანქანეთა განყოფილებას, რომლის მუშები განთქმული იყვენ თავისი შეკავშირებით, ახლა კი „სუბბოტნიკებს“ ბოიკოტს უცხადებენ.

შენიშვნა შემდეგ ნაირათ თავდება:

„რა არ უნდა ეცადოთ საბოტაჟნიკებო ძირი გამოუთხაროთ საბჭოთა რუსეთს, ისტორიის „ჩარხს“ უკულმა ვერ დააბრუნებთ.

სახალხო გვარდიაში.

ბათუმის სახალხო გვარდიის შტაბმა მიმართა საგანგებო კომისარს თხოვნით რათა მიეცემინოს განკარგულება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომ სათადარიგოს გვარდიელები კვირაში ერთხელ უთშაბათობით დღის 4 7 საათამდე საერთო გვარდიის მაცადინობის დროს განთავისუფლებული იქნენ სამსახურიდან.

— გვარდიის დღე. გვარდიის სახალხო შტაბის გადაწყვეტილებით 26 ენკენისთვეს (ახ. სტ) გაიმართება ბათუმის გვარდიის არსებობის წლის თავის აღსანიშნავათ—გვარდიის დღე. ამ მიზნით უკვე არჩეულია საგანგებო კომისია, რომელმაც კარგი ხანია რაც შეუდგა აღნიშნულ დღის წესრიგის მოსაწყობათ „პროგრამების“ შემუშავებას.

ბათუმის სახალხო გვარდიის შტაბის და გვარდიელთა ყრილობის გადწყვეტილებით ის საჩუქრები, რომლებიც „ფრონტის დამხმარე“ მთავარ კომისიის მიერ იყო გამოგზავნილი აღგილობრივ გვარდიისათვის ამ მოკლე ხანში გაიგზავნება წინა ხაზზე მდგომ ჯარის-კაცებისათვის.

— ბათუმის სახალხო გვარდიის შტაბის დადგენილებით კადრის გვარდიელი ვარლამ კოსტავა და სათადარიგო გვარდ. მელიტონ გოგვაძე გარიცხულია გვარდიელთა სიიდან შეუფერებელ ყოფაქცევისთვის,

— ბათუმის სახალხო გვარდიის შტაბმა შეიძინა დიდი ნაწილი (დუხავოი) ორკესტრის ინსტრუმენტებისა. ამ დღეებში შეუდგებიან მუსიკის მოწყობას.

— გვარდიის სახალხო შტაბის ბინაზე მოწყობილია საპარიკმახერო, სადაც სათადარიგო გვარდიელები გაკრეჭაში და გაპარსვაში იხთიან 40 მანეთს კადრის გვარდიელთათვის —უფასოა გაპარსვა.

მუშათა ცხოვრება.

სახელმწიფო მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

კვირას 5 სექტემბერს ქალაქის

ბათომის დღიურიდან.

... იმედი გადავიწყვიტეთ. ბერძნულ მისიაში გუშინ დაბეჯითებით ამბობდენ რომ ანტანტა მთელ ამიერ კავკასიის იკუპაციას მოახდენსო. ეურნალი „ორიენტალი“ სწერს რომ საქართველო გერმანულ კოალიციაში იყო, რის გამოც მას ისე მიეპყრობიან, როგორც დამარცხებულ გერმანიასო. რა სასაცილო ინტრიგაა!.: საქართველოს დემოკრატია თურმე ვილჰელმის კოალიციაში ყოფილა!.. გულსაკლავია როცა ასეთი უმართებულო ბრალდება აქ ვრცელდება ჩვენი მეზობლების მიერ.

ბათუმიდან დეპეშით იუწყებიან რომ ქალაქი და ოლქი ინგლისელებმა დაიკავესო. ოსმალები ბათუმიდან გაქცეულან და ბათუმი კი საქართველოს ხელში არ გადასულა.

იწამლება ტყვეების გული ამ ამბებით.

დღეს სწერ ნ გ-ზეთში: ქუთაისში ინგლისის ძლიერი ჯარი შევიდაო. რა ამბავია!..

სოჭის ოლქიდან დენიკინს ჯარი ჯერ კიდევ არ გაუყვანია. საქართველოს ცა ჩამოშაედა სომხეთის დაშნაკელები ამიერ—კავკასიის დემოკრატიასთან შეთანხმების გაურბიან, მითხრა ლაკონიურად თბილისიდან ჩამოსულმა კურიერმა.

დეკემბრის თვე აცივდა. ზღვას მაზუთის ფერი ზეწარი გადაეფარა...

ჩვენი გრძნობა გაყინულია, არაფერი გვაინტერესებს. ბათუმისკენ!

მომავალ ჯარს და სამხედრო ფლოტს მივჩერებივართ.

როგორი იქნება ბედი საქართველოსა?

ნუ თუ გაგვეძარცვება იმედის ბადი?..

ნუ თუ საქართველოს დემოკრატიის თავისუფლება „ომში გამარჯვებულ“ იმპერიალისტების დასაკანონებელი მოვლენაა?..

და ვინ იცის რას უზამენ ამ თავის უფლებას ევროპის იმპერიალისტები?

ოჰ შემომქმედო ძალავ! ნუ ჩაჰკლავ სიხარულს გულში, ნუ გაათენებ ჩვენთვის არარაობის და ფუქსავატობის დღეებს.

ბათუმიდან გემს ელიან, ჩვენც მივიღებთ ინფორმაციას, ნავთსადგურს არ ვშორდებით...

ეს ქალაქი უპირველესი ბალნარია ცოდვილ დედა ძიწაზე.

აქ სულთანი ჰარამ ხანაში ისევ ლებულობს საჩუქრებად შორეულ ქვეყნების ტურფა ხატებათ.

აქ ევროპიელები ოსმალურ პარლამენტს ცირკად უპირებენ გადაქცევას, კვირაში ხუთჯერ იწვევენ და თავის სასარგებლო რეზოლუციებს აწერინებენ.

რუსეთის ინტელიგენცია შანტანებში ირთობს თავს. პავლე მილიუკოვი სპეკულიანტების თათბირებს აწყობს, ალბად უხარია ახლა აქ ყოფნა, ეს იყო რომ რუსეთის დროებითი მთავრობის დროს ამ ქალაქს წაეპოტინა...

წუხელის მთელი ღამე თოვა, ბათუმიდან გემი არ მოსულა, მოთმინება დაიკარგა. სევდის ქარი ცივ, ყელლებ შემორღვეულ ოთხში და ნავარდობს და აღიზიანებს მოქანცულ სულს.

ქრისტეს შობა ახლოვდება, ოცნებას გადავყავართ ქართულ სოფელში: ალილო ყურებს ეხმის, თვალებს ეხატება ისლით დახურული სახლი, სადაც საშობოთ ემზადებიან...

როგორი იქნება ეს შობა ჩვენთვის.

ჯადოსნურად გვჯერა, რომ საქართველოდან სასიხარულო ამბავი მოგვივა.

ხვალ დილიდან ისევ ნავთსადგურში ვიდარაჯებთ, იქნებ გემი მოვიდეს...

ზღვას ტალღების მძაფრი ბრძოლის ხმა ჩვენს უბნამდე აღწევს, ზღვაზე ამინდი გაფუჭებულია, ვაი თუ ამის გამო შეჩერდა გემი...

ხვალ დილით ვნახავთ ქუთათურ ვაჭრებს, რომელთაც ქართული გაზეთი ჩამოუტანიათ. სამ თვეზე მეტია საქართველოში გამოცემული გაზეთი თვალით არ გვინახავს.

— ამალამ ოსმალეთის პარლამენტში დიდი სკანდალია. ევროპის ოკუპატორების მომხრეები ენვერ ფაშას პარტიას დაეტაკენ.

ირაკლი.

თვითმართველობის დარბაზში შედგა კრება ბათომში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისა,

თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ვ. ბაქრაძე, მდივნათ ე. წულაძე.

დღის წესრიგი იყო შემდეგი კითხვები: 1. ჯამაგირები და დღიურები, 2) იაფ-ფასიანი სასადილოები, 3) კავშირის წესდება. 4) კოოპერატივის შესახებ 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 6) მიმდინარე კითხვები.

დღიური წესრიგის განხილვამდე კრებას, ბათომის პროფესიონ. კავშირების დროებითი ბიუროს სახელით, მიესალმა ბიუროს თავმდომარე გრ. აილო, რომელიც თავის მოხსენებაში შეეხო იმ როლს, რომელიც საქართველოს დემოკრატიამ და კერძოდ მუშათა კლასმა ითამაშა საქართველოს სახელმწიფოებრივობის შექმნაში. მომხსენებელი ვრცლათ შეეხო იმ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება და აგრეთვე ეკონომიური კრიზისის გამომწვევ და ხელის შემწყობ პირობებს, აღნიშნა ის ღონისძიებანი, რომელსაც რესპუბლიკის მთავრობა იღებს საშინელი სიძვირის შესამსუბუქებლათ და მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველსაყოფად.

თავის მოხსენებაში გრ. აილლომ ის აზრი გაატარა, რომ ყველა ნაბიჯი, მუშათა რომელიმეგრაზმის მიერ გადადგმული, არ უნდა უთხრიდეს ძირს სახელმწიფოს და მის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდეს. დასასრულ გრ. აიოლომ უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა და იმედი გამოსთქვა, რომ კავშირი გვერდში ამოუდგება პროფ. კავშირთა ცენტრს და ენერგიულ დასმარებას აღმოუჩენს მას იმ მიზნების განხორციელებაში, რომელიც პროფ. ცხორების ხელმძღვანელ ორგანოს აქვს დასახული.

მუმათა მაგიდის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. ყუფარაძე, მოხსენებიდან ირკვევა, რომ დღემდე მუშათა მაგიდა აგვარებდა წმინდა ორგანიზაციულ კითხვებს, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის გამორკვევას, სიების შედგენას, კანცელარიის მოწყობას, რათა საკმაო წესიერათ მოწყობილიყო ის აპარატი, რომელსაც მუშა-მოსამსახურეთათვის, სურსათ- სანოვაგის მოწოდება ა ქვს დაკისრებული. ეს წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულა და ახლო მომავალში შეუდგებიან სურსათ სანოვაგის განაწილებას, პირველ რიგში დარიგდება პური.

სასადილეობის გახსნის საქმეც დასრულებული ყოფილა და სასადილოებშიც ახლო მომავალში დაიწყებენ სადილების მიცემას.

ვ. ბაქრაძე მიესალმება კრებას სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთა ცენტრალური კავშირის სახელით

მცირე მოხსენებაში ის ეხება სახელმწიფო მოსამსახურეთა უფლებრივ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ საჭიროა სახელმწიფო მუშა-მოსამსახურენი იმავე უფლებით სარგებლობდენ, როგორც სხვა დარგის მუშები და მათზე ვრცელდებოდეს შრომის ყველა კანონები.

კრება ავალებს პრეზიდიუმს გაუგზავნოს მისალმების დეპეშა ცენტრალურ გამგეობას.

ჯამაგირეაის საკითხი ცხარე კამათს იწვევს. სხვა და სხვა ორატორთა სიტყვებიდან ირკვევა საშინელი, ზოგჯერ აუტანელი პირობები, რომლებშიაც მოსამსახურეები არიან.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ორატორები რესპუბლიკის ფანანსიურ მდგომარეობას ანგარიშს უწევდენ.

ამ საკითხის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) ეთხოვოს პროფ. კავშირთა საბჭოს გამოიტანოს დადგენილება, რომ ყველა მუშა-მოსამსახურეთ მიეცეს ერთდროული დახმარება ნახევარი თვის ჯამაგირის სახით

2). დაჩქარებით გაიხსნას იმდენი სასადილო, რამდენიც საჭირო ყველა მუშა-მოსამსახურის და მათი ოჯახების გამოსაკვებათ. 3) ეთხოვოს მთავრობას მოგვცეს სესხი, ან თვითონ მოაწყოს ისეთი კოოპერატივები, რომლებიც მუშა მოსამსახურეებს პირველ საჭიროების საგნებს მიაწოდებენ.

4) დარჩეს ბათომში ჯერ-ჯეროობით ის ჯამაგირები, რომელიც მუშა მოსამსახურეებს ეძლევა.

წესდების განხილვა და შესწორება მიენდო გამგეობას.

ვინაიდან ყველა საკითხების გარჩევა არ მოესწრო, გადაწყდა მორიგი კრება მოწვეული იქმნას შემდეგი კვირისათვის.

კრების დასასრულს არჩეული იქმნა გამგეობა 7 კაცისაგან შემდგარი, 3 კანდიდატით: გამგეობის წევრები 1) თ. ჩახვაძე, 2) ვ. ბაქრაძე, 3) რამიშვილი, 4) ე. წულაძე, 5) სულაბერიძე, 6) იმნაიშვილი, 7) მ. ჯიბლაძე;

კანდიდატებათ: 1) ღლონტი, 2) მილორავა და 3) მახარაძე.

სამშაბათს, 7 სექტემბერის შედგა ბათომის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ახალი გამგეობის სხდომა, რომელმედაც აირჩიეს პრეზიდიუმი.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ვ. ბაქრაძე, თავმჯდომარის ამხანაგათ თ. ჩახვაძე, მდივნათ ე. წულაძე, მდივნის ამხანაგათ ნ. სულაბერიძე. ხაზინადრათ მ. ჯიბლაძე.

დამსწრე

იაფ-ფასიანი სასადილოები.

სასადილოებს მოწყობის საქმე უკვე დამთავრებულია, მონახულია შესაფერი ბინები და ახლო მომავალში დაიწყება იაფი სადილების მიცემა.

სასადილოები გაიხსნება სამ ადგილას: 1) ნურიაში, ყოფილი საოლქო საბჭოს ბინაზე 2) ფოსტაში და 3) ზღვის პირათ (გუბერნატორის ყოფილი კანცელარიის ბინა).

სასადილოები მოეწყობა კოოპერატიულ ნიადაგზე, იმ მოსაზღვრებით, რომ მუშებმა თავი სასადილოების პატრონათ იგრძნოს და თავისი გამგეობა იყოლიოს. საწევრო გადასახადი ორასი მანეთი იქნება. სადილათ ორი კერძი მიეცემა, კერძი ისეთი იქნება რომ ადამიანის

მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. პური სასადილოში არ მიეცემა და ყველამ თავისი უნდა მოიტანოს. სადილობის უფლება აქვს ყველა იმათ, ვისაც მუშათა მაგიდიდან რაციონიეძლევა.

ოჯახის პატრონთათვის საჭიროა ოჯახიდან ერთი ვინმე იყოს ჩაწერილი სასადილოს წევრათ. სადილი ბინაზეც მიეცემათ.

ვაჭრობა იქნება ნაღდზე, შეიძლება ნისიათაც, ძხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო დაწესებულების უფროსიდან მოტანილი იქნება ცნობა, რომ ნახარჯი თვის ბოლოს გამოექვითება ჯამაგირიდან და გადაეცემა სასადილოს.

სასადილოში ღვინო მიეცემა არაუმეტეს ნახევარი ბოთლისა.

მეთვალყურე.

რკინის გზაზე.

ვისთვის არ არის აშკარა ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის რკინის გზელებს საკშობლოსა და რევოლიუციის წინაშე. რა არ გადაიტანა მან რევოლიუციის პირველ დღიდან დღევანდლამდე. სიმშილ-წყურვილი სიცივე, დამცირება გაბოროტებულ, სახლში მიმავალ უდისციპლინო რუსის ჯარისაგან, ბაგრამ მან დღემდე ურყევათ მოიტანა რევოლიუციის ყველა მონაპოვარნი და მისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა, ევროპამ გვიცნო როგორც დამოუკიდებელი ერთეული ფაქტიურათ და არ არის შორს ის დრო, როდესაც იურიდიულათაც გვიცნობენ, ჩვენ კვლავ ეკონომიურათ გაჭირვებას განვიცდით. რასაკვირველია ეს საზოგადო მოვლენაა. როდესაც მთელი მსოფლიო განიცდის ეკონომიურ კრიზისს, პატარა საქართველოს მთავრობას ვერ მოვთხოვთ შეუძლებელს, ვერ მოვთხოვთ, რომ ყოველ მხრივ უზრუნველ ყოფილი ვიყოთ. მაგრამ ის კი რაც ჩვენი არსებობისთვის აუცილებლათ საჭიროა, უნდა მოვთხოვოთ რასაკვირველია იმდენათ რამდენათ ამის დაკმაყოფილება მთავრობას შეუძლია.

საჭიროა მთავრობამ და რკინის გზის ადმინისტრაციამ ეხლავე მიაქციონ სათანადო ყურადღება. ამხანაგ მუშებს. კი ვთხოვთ წინდახედულათ, დინჯათ მოიქცენ, ასწონონ სახელმწიფოში და საერთოთ შექმნილი პირობები და ამის მიხედვით საჯონ ყოველივე. დარწმუნდით ამხანაგებო, რომ თუ ვინმე იზარალებს ჩვენ მიერ უკეთმართათ გადადგმული ნაბიჯით პირველ ყოვლისა ჩვენ. მაშ დინჯათ ყოველი ნაბიჯით და კვლევინდებურ ინტენსიურობით.

ბ. ა—ბელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ჩემს წერილს:

მე მინდა მკითხველებს და ვისაც ჯერ არს გავაცნო ამ წერილით ის უწესრიგობა, რომელსაც აქვს ადგილი ბათომის სამოქ. სასაფლაოზე, ბერძნების ლტოლვილებს მიცვალებულები დღეში არა ნაკლებ 20 სა. მიაქვთ სასაფლაოზე და ბევრ თავ. აღარ იწუხებენ რაიმე წესრიგისთვის თუ შეხვდა ძველი საფლავი ილათ გადიან: მოთხრიან მიწას ერთ არშინზე და ახალი მიცვალებული აწევს ძველს კუბოზე. თუ მაგალითი მოსათხარი შეხვდა —ეს ერ. მარხავენ ორი ბარის პირის სიღრმეზე, ხშირად უკუბოთ, მარხავენ ხშირად სასაფლაოს გზის პირადაც. მიცვალებულებს ღამ-ღამობით თხრიან ტურები და შეექცევიან ადამიანის ლეშს. ამის თაობაზე მე მივაყვანე სასაფლაოზე ადგილობრივი კომისარი, რომელმაც მდგომარეობა წერილობით აცნობა საოლქო ექიმს. ეს იყო 30 აგვისტოს. ამას გარდა მე პირადად ვაცნობე ეს ამბავი საექიმო განყოფილების უფროსს ექიმს ბ-ნ ელიავას, რომელმაც მაშინვე მიიღო ზომები: მან გამაყოლა ექ ასამბაძე და ფერშალი და დავათვალიერეთ სასაფლაო, სადაც ვინახულეთ ტურებისაგან შეჭმული მიცვალებულნი.

მე მგონია, რო ასეთი უბედურების წინააღმდეგ უნდა აქნას ფიცხელი ზომები მიღებული. საუკეთესო ზომათ ის მიმაჩნია, რო მთავრობის ხელმძღვანელობით შესდგეს ადგილობრივად სანიტარული კომისია, თორემ ქალაქიდან ხანდახან ჩამოსული სანიტარები ვერაფერს გახდება და ჩვენ გავხდებით მოწმე კიდევ უარესი მოვლენისა. გამოცდილება მაქვს მე, რო მიცვალებულის ხორცით გათამამებული ტურა დიდი საფრთხეა ბავშებისთვინ და ხან დიდებისთვისაც.

ილ. კაჭახმაძე.

საჭირო ცნობები.

— საგანგებო კომისარის სამართველო მოთავსებულია სმეკალოვის ქ.

— ციხე სიმაგრეთა შტაბი მოთავსებულია ბულვარის ქუჩაზე.

— სახელმწიფო კონტროლი მოთავსებულია კამაროვის ქ. № 35.

— სამხედრო საინჟენერო ნაწილის უფროსი პოლკ. კანდელაკი იღებს მთხოვნელებს ყოველ დღე დილის 8 სათიდან 10 საათამდე.

ახალი ტარიფი.

21 მარიამობისთვიდან დაწესდა შემდეგი ტარიფი საქართველოს რკინის გზებზე:

ტფილისიდან.

ბილეთის ფასი მან. ბარგი

სადგური.	1 კ	3 კ.	ფუთზე
მცხეთა	75	45	30	10
ბორი	270	165	110	25
ხაშური	420	255	170	40
ბორჯომ-პარკი	535	320	215	50
ბაკურიანი . .	660	395	265	65
შორაპანი . .	620	375	250	60
ქუთაისი . . .	720	435	290	75
სამტრედია . .	775	465	310	30
ფოთი . . .	925	555	370	105
ბათომი . . .	1075	645	430	115
სალოღლი . .	285	170	115	25
სანაინი . . .	440	265	180	45
ავჭალა . . .	40	25	15	5

შენიშვნა 1) საბავშვო ბილეთები (5—10 წლამდე) უფრის ერთ

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.

სარედაქციო კოლეგია.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. მ. შმაევსკისა. მიხაილოვის ქ. № 21, ქ ბათუმი.